

რედაქცია

შპსი განცხადებისა

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ცალკეობა რედაქციისა და მისი მფლობელი

გალაქის პრინციპული თ. ა. მუსხიშვილის ხელნაწილი
 ხელის-მომწერად
 შიდადგენის თვითნებური რედაქცია, ქუ-
 რთა: ჭავჭავაძის (გერმანიის) წინააღმდეგობა. გადამ-
 რედაქციისათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ, въ редак-
 ции „Дროება“
 „დროების“ შპსი:
 გარდაცემისა... 9 მან. წინააღმდეგობისა... 3 მან.
 გარდაცემისა... 5 მან. წინააღმდეგობისა... 1 მან.

დღის ასობით, ასობით 1-ჯერ, ასობით რედაქცია
 ასობით ასობით, ასობით 1-ჯერ, ასობით რედაქცია

ბრწყინის თეატრი.
 ამირანს, 5 დეკემბერს
 ქართული დრამატული დასისაგან
 წარმოდგენილი იქნება
I
არსენა
 დრამა 3 მოქმ. თხზ. პ. მოჩხუბარიძისა.
II
ბუბიაოვა
 ვოდეილი 1 მოქმ. თხზ. პ. წერეთლისა
 დასწავისა 8 საათზედ.

პატივმოყვრული. „ახალი დროების“
 სიტყვით სახელმწიფო რჩევამ გადას-
 წყვიტა ექვსი მილიონი მან. გადადუ-
 ბა წყლების გაყვანისათვის.
 ღენ. ჩერნიაკევი შუამდგომლობს,
 რომ თურქისტანში გაძლიერდეს აბ-
 რაშუმის წარმოება.
 ებრაელთა კამისა შინაგან საქმეთა
 სამინისტროსთან შუამდგომლობს მთე-
 ლი ებრაელთა მცხოვრებთა აღწერას.
ლონდონი. გუშინ ახლად დანიშ-
 ნული რუსის დესპანი ბარონ მარტენ-
 გეიმი ინახულა კარადევემ.

**ა) იუსტიციის სამინისტროს უწყე-
 ბაში.** მთავარ-მმართველი უპირვე-
 ლეს ყურადღებას აქცევს გამოცემის
 გათავებას. რამოდენიმე ხანია, რაც
 დაიწყო ჩვენში გამოცემა, და თუმცა
 დიდი ინტერესი აქვს ადგილობრივი
 მცხოვრებთათვის მაგის გათავებას,
 რადგან უმაგისოდ არ შეიძლება არც
 ეკონომიური, არც ზნეობითი წინ-
 მსიგელობა, ჯერაც არ გათავებულა.
 მამულის და საკუთრების განუსა-
 ზღვრელობით სარგებლობენ სხვა-და-
 სხვა ბოროტნი პირნი და იტაცებენ
 სხვის საკუთრებას; აქედან ხდება გაუ-
 თავებელი დედა მამულების თხოვრებელ-
 აქამდისინ გამოცხადებულია მხოლოდ 6
 მილიონი დესიატინა, ანუ 15% პრო-
 ცენტი იმ მიწებისა, რომელიც აღნი-
 შნულია გასამიჯნად. ამის გამო და-
 საჩქარებლად ამ უსაქიროვის საქმისა
 და სისრულეში მოსაყვანად მთა-
 ვარ-მმართველს შეუდგენია პროექტი
 განსაკუთრებით გამოცხადების დაწე-
 სებულებისა, რომელიც ექვემდებარება
 იუსტიციის მინისტრს, მთავარ-მმართვე-
 ბელი კონსტანტინე მხოლოდ ალაგს;
 საიდანაც უნდა დაიწყო გამოცემა.
 ამ საქმის სრულიად გასათავებლად
 საქიროს სულ 240,000 მან. ყოველ
 წელს ათის წლის განმავლობაში.

მოგმატოს მსაჯულთ რიცხვს რომ
 დატულ იყოს საზოგადოება იმ ავა-
 ზაკთაგან, რომელთაც ხშირად უშევე-
 ბენ თავდებობით ხოლმე უაღაგობის
 გამო სატუსალოებში; მათს ბრწყინ-
 ვალებას მსურს მოუმატოს უფლება
 სოფლის (სამსაჯულოებს და მისცეს
 მათ უფლება განსამართლებისა ს-
 ქონ ლის ქურდებისა, რომ მით შეუმა-
 ტირდეთ საქმეები სამაზრო მსაჯუ-
 ლებს. ამას გარდა მათი ბრწყინვა-
 ლება საქიროდ ხედავს, რომ ხანდის-
 ხან ქურდობის, ცარცვის და მკვლე-
 ლობის საქმეები გარდაცემულ იქნენ
 ხოლმე. სამხედრო სამსაჯულოებში
 ბოლოს, მთავარ-მმართველს მსურს,
 რასაც იგი დიდს ყურადღებას აქცევს,
 რომ იყვეს მომატებული რიცხვი მსა-
 ჯულებისა, გაუკეთესდეს მათი მატე-
 რიალური მდგომარეობა; დაარსდეს
 მძებნელი პოლიცია (СМЪСЕНАЯ), გაუ-
 კეთესდეს სატუსალოები, მიემატოს
 ახალი შენობები იმ პირთათვის, რომ
 მელნიც დროებით არიან ხოლმე და-
 ტუსალებულნი. საპრობილეში და
 რომელიც ეხლა ერთად ტუსალებ-
 თან სხედან ხოლმე.

ტელეგრაფი
 „ახალი-შობის ტელეგრაფის სააგენტოსი“
I-ს დეკემბერს.
სოფია. ნოემბრის შუა რიცხვებში
 ბუკარესტში დაატუსადას ახარებული
 ბოლგარელები, რომელთა ნაწილიც
 მებრძოლები გაგზავნეს ბუკარესტში.
პარიზი. ფინანსთა მინისტრმა გა-
 უყენა დეპუტატთა ზედატას, რომ
 ბუკარესტის ფინანსური მდგომარე-
 ვობა ცუდად არ მადის, მაგრამ სა-
 ჯარაო უფრო გონიერად საქმის წაყ-
 ვანა.
სტამბოლი. ხონთქანმა ნება დარ-
 თა საფრანგეთს დაფუძნოს ზოგუ-
 რის ბუხტში წითელ ზღვაში, გაშე-
 რის საყენებელი და კალონია.

დღიური
 ტფილისში შემდგარი კომისიისგან
 შემუშავებულ პროექტებზედ წარსად-
 გენად სახემწიფო რჩევაში მთავარ-
 მმართველმა ძველსა და ახალსა თი-
 თქმის ყველას თავისი საკუთარი მო-
 ზრებანი და დასკვნანი, რომლებიც
 აგრეთვე იქნებიან განხილულნი სა-
 ხემწიფო რჩევაში. ამას გარდა მის
 ბრწყინვალეობას წარუდგენია სახემწი-
 ფო რჩევაში რამდენიმე წერილი რომ-
 მელნიაც ხატავს თავის საკუთარ მო-
 ზრებას, თუ რა ცვლილება უნდა
 მოხდეს ძველსაში, რას უნდა მიექ-
 ცეს განსაკუთრებით ყურადღება, რა-
 მოდენა ხარჯი მოუხდება ყველა ამას
 და სხვა. დაახლოვებით ამ წერილების
 შინაარსი და დედა აზრი მდგომარეობს
 შემდეგში:

**ბ) სამჯარო ნაწილში მთავარ-მმარ-
 თებელს სურს მოახდინოს შემდეგ
 ცვლილებანი, რომ დაჩქარდეს სამ-
 ჯარო საქმეების განხილვა, უნდა**

**ბ) სახალხო განათლების სამინისტ-
 რო უწყებაში.** ამ საგნის თაობაზედ
 მათი ბრწყინვალეობა ამბობს შემდეგს:
 დაწერილებითი განხილვის შემდეგ სა-
 მსწავლებლო საქმისა, მიველი იმ
 დასკვნამდინ, რომ უნდა მოემატოს
 საშუალო სასწავლებელთ რიცხვს, და

დროებისა ფელტონი, 3 დეკემბ.
აშუთათური-აშუთათურად
 ქუთაისის ქალაქის სამმართველოს
 რჩევა.—ესრედ წოდებული რჩევის
 „ხმოსნები“.—ხმოსნებთ შორის
 კიდევ ესრედ წოდებული ინტელი-
 გენცია,—ამათი რჩევანი 1879 წ.
 ამათი მოქმედება წასრული სპი წდის
 განმავლობაში.—რას მოველოდით
 და რანი გამოდგენს.—არის დარსნი
 საყვედურისა ესენი განსაკუთრებით
 და საზოგადოდ საზოგადოებისა-
 თვის ამთ გვარად მოღვაწე ახალ-
 გასდობა.
 თუ განსოვს, მკითხველო, წინა წე-
 ბილში დაგბორდი, რომ სხვათა შო-
 რის შუთათის სამმართველოს რჩევაზედ
 იმის ხმოსნებზედ არა ერთხელ
 იქნება შენთან ლაპარაკი-თქო.—ამ
 პირებას ამ მეორე წერილშივე
 სრულდება.
 იმავე პირველ წერილში ვსთქვი,
 რომ ჩვენი ძალაქის სამმართველოს
 რჩევანა რჩევას რუსეთის რომელიმე
 ქალაქში ვერ შეხედვები-მეთქი
 რისით სანთლითაც რომ ეძიოთ-თქო,
 თუ ვინა იგივე რჩევანა იგივე
 რჩევანა იგივე რჩევანა იგივე

მაგრამ ეს თქმა, რომ ისე უსაფუძვლო
 ლაპარაკად არ ჩამომერთვას, საჭიროა
 მოვიყვანო დამტკიცებები და აი,
 გთხოვთ მომისმინოთ.
 მხლანდელი ძალაქის რჩევა ამორ-
 ჩეულია 1879-ს წელს. ბაისს დეკემ-
 ბერში უთავდება მას ის ნდობა და
 იმედები, რა ნდობასა და იმედებსაც
 მათზე იმყარებდა ქალაქის საზოგადოე-
 ბა, როდესაც მათ ირჩევდა. მენი ბძან-
 დებანი მეორე ამორჩევანის ხმოსნები
 მას შემდეგ, რა რომ ქუთაისში ქალა-
 ქის თვით-მმართველობა შემოიღეს და
 რადგან ქალაქის საზოგადოება ცოტა-
 თი მაინც გაცნობილი შეიქნა წინა
 ოთხი წლის განმავლობაში, თუ რა
 უფლებანი და რისი გამკეთებელნი
 უნდა ყოფილიყვნენ მათი წარმომად-
 გენელნი, ამისათვის ამათს დღევან-
 დელი ხმოსნების არჩევის დროს, ვი-
 თომ უფრო წინ დახედულად განისარ-
 ჯა და თავის წარმომადგენლებში უფ-
 რო სხვა გვარის კაცები, უფრო გა-
 ნათლებულები ჩაერია და ახალ-გაზ-
 დები. ხუთს ვაჭარში ცდილობდა ერ-
 თი მაინც განათლებული კაცი, სხვა

გვარი „ხელობის“ მექონე კაცი ამო-
 ერჩია. იმდენი მილიონი ოქრო მე მომე-
 ცა (ამ ფულის სიძვირის დროს ამისა-
 ნა ნატურა ცოტათი მაინც მოგზხანს
 გულს) ნუ გენადვლება, მკითხველო,
 რამდენი ცოდვა, სინდისის წინააღმდეგი
 საქმე ამ ხმოსნების ამორჩევის დროს
 იმ კაცებმა ჩაიდინას, რომელნიც
 მმართველენ ამორჩევებს საქმეს...
 მაგალითად უყრიან კენჭს ერთს ვა-
 ჭარს და ერთს განათლებულს კაცს,
 ესთქვათ, ექიმს. ორთავესათვის ცალ-
 ცალკე კენჭის საყრელი ყუთებია.
 ქენჭის მასროლის მაჩვენებლად ყუ-
 თებთან დგანან თავმჯდომარის მომხ-
 მარენი, რომელნიც წინდაწინვე და-
 რიგებულნი არიან—თუ როგორ უნ-
 და მოიქცენ, ვისთვის სად და როგორ
 აჩვენონ, როგორ აუხსნან, თუ სად
 ჩაადგონ კენჭი შეკენჭემ. მოდის მე-
 კენჭე. შუთის მაყურებელი ეუბნება:
 „აქ ამ იაშიკში უყრიან კენჭს ამა-
 და-ამ... ექიმს, (ამასთან ჩუმად უმა-
 ტებს) ახალ-გაზდა კაცს, ნასწავლს,
 ქალაქისათვის ძრიელ სასარგებლო კა-
 ცი იქნება (ახლა ხმა-მალლა) აქ თე-

თრია! აქ... (ჩუმად) თეთრში!... მი-
 დის მეკენჭე მეორე ყუთთან. შუთის
 მაყურებელი ეუბნება: „აქ უყრიან
 კენჭს ხმოსნობაზე ვაჭარს N-ს. (ჩუ-
 მად) რა ეშმაკად გვინდა, შარშანაც
 ბევრი გვეყვანდნენ ვაჭრები ხმოსნე-
 ში, მაგრამ რა გავიკეთეს... (ხმა მალ-
 ლა) აქ შავია, აქ თეთრ... (ჩუმად)
 შავში!...
 ასე ამ ნაირად, ასე ცოდვა-მადლით
 და ჭაპან-წყვეტით გაიყვანეს რჩევაში
 სულ თვრამეტამდე განათლებული,
 ანუ, როგორც ეძახიან, ახალგაზდებ-
 თაგანი ხმოსანი იმ განზრახვით და
 იმედით, რომ ესენი წარმართველენ
 ქალაქის მდგომარეობას და იმის საქ-
 მებს უფრო სწორს გზაზედ და სა-
 მართლიანად წაიყვანდნენ. მე დამ-
 ტკიცებით მითხრეს, რომ ზოგიერთი
 დღევანდელი ხმოსნები მაგ. თ. მ.
 შ—ვა, ბ. დ. აბ—ლი, ბ. დ. ბ—ძე,
 ბ. პ. ლ—ძე და ზოგი სხვანიც, ამორ-
 ჩეულნი იქმნენ ხმოსნებად იმ სამო-
 ქალაქო წესდებულებს მუხლის ძა-
 ლით, რომელიც ამბობს, რომ მოქა-
 ლაქე, რომელსაც ხმოსნობა უნდა,
 სხვა ზოგიერთ პირობებთან უნდა ვაჭ-

აგრეთვე დაბალი სკოლების რიცხვს განსაკუთრებით პროფესიონალურის ხასიათით, რადგან ეს უსაქიროებს მოთხოვნილებას შეადგენს ხალხის ეკონომიურის ცხოვრების გაუმჯობესებასათვის. საშუალო სასწავლებლები იქნებიან რიცხვით ცხრა; ერთი საჯარო და ერთი საქალაქო გიმნაზია ტფილისში, პარალელური კლასების მაგიერ; ერთი რეალური სასწავლებელი მეურნეობის განყოფილებით ქუთაისში პროფინაზის მაგიერად; აგრეთვე რეალური სასწავლებლები საცხენისში, ალექსანდროპოლში და ზორში; ორი პროფინაზია: თელავში და ღარუბანში და ერთი საქალაქო სკოლა ტფილისში მუსულმანთათვის; რადგან დაბალი სასწავლებელი სამსენი არიან მულამაშევირდებით, ამისთვის მათი რიცხვი უფრო ბევრია, სანამ საშუალო სასწავლებლისა, სულ 30; ნაჩვენებია წერილში გარკვევით რომელ ქალაქში უნდა გაიხსნას: ორ კლასიანი საჯარო სასწავლებელი იქნება (12), სამ კლასიანი საქალაქო (15), სამ კლასიანი საჯარო (3). აგრეთვე საჭიროა გაიხსნას ბლომად სოფლებში (ნორმალური სასწავლებლები; სასწავლებლები სემინარიები ჯერჯერობით იქნება მხოლოდ ოთხს ალავს: აბხაზეთში, ბურიაში, შემანიაში და ღლისტანში.

ზანსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული პროფესიონალურ სკოლებზე, რადგან ეგვი, მთავარ-მმართველის აზრით, შეადგენენ დამატებას დაბალი ხარისხის სკოლები-სას და უნდა აკმაყოფილებდნენ აღიონობრივს ფიზიკურს და ხალხოსურ მოთხოვნილებათა. ამ ნაირი სკოლები გარდქვევან იარაღად ხალხის ეკონომიურის და ზნეობით ცხოვრების ამაღლებისა. წერილში დაწვრი-

რობდეს ორი წლის განმავლობაში მაინც ამორჩევების წინედ. ახლა მითხარიო, თქვენი კირიმი, რა ფართალს, რა სასმელებს გაჭრობდნენ 1879 წელში და ან ეხლა ის პირები, რომელნიც ზევით დაგისახელებთ? ამათ რომ არაფერ-გვარი უძრავი მამული არ ჰქონდათ და მგონი არც ეხლა აქვთ (ერთის გარდა), ამაში მე შემიძლია გიმოწმოთ! მაგრამ, როგორც მოგახსენებთ, ამათის და ამათი რჯულის კაცების ამორჩევას სულ სხვა მიზანი ჰქონდა, როგორც ყოველი ნორჩი ახალგაზდა, ისე მაშინ მთელი ქუთაისის საზოგადოება, იმ ამორჩევების დროს, იმედებით ცხოვრებდა, იმედებით სავსე ჰყარს სუნთქავდა. მაგრამ აფსუს! რა იმედები გაქარწყლდა...

რა გამოვიდა, როგორ გაუმართლდა ქალაქის საზოგადოებას ეს იმედები? მართლაც, რომ საინტერესოა ამის გაგება და მიტრამაც მინდა შენი სურვილი დაეკმაყოფილო, ჩემო მკითხველო, ორიოდ მაგალითით, ამ „ახალგაზდა“ განათლებული ხმოსნების მოქმედებდამ ჩვენი ქალაქის და იმის წარმატებისათვის სასარგებლოდ. ამ მაგალითების დასამტკიცებლად

ლებით არის ნაჩვენები ყველა ის ალაგები, სადაც იქნებიან გახსნილი ეს სკოლები. მასწავლებლებად იქნებიან კურს-მესრულებული ადგილობრივ სემინარიებში, სადაც დაარსდება სახელოსნო და სამეურნეო კლასები. პროფესიონალურის სკოლების რიცხვი იქნება 53 ვაჭებისთვის და 15 ქალებისთვის, ხარჯი ახლების გახსნისთვის და ძველების გადასაკეთებლად იქნება 495,019 მან. ყოველ წლივ და 35,000 მ. ერთხნობით.

„იურიდიულ მიმობილვას“ გაუგონია, ხმებიო, რომ უფროს თავს მჯდომარედ სასამართლო პალატისა ინიშნება. პეშუროვი აგალიის მაგიერად, რომელიც სტრავებსო ამ ადგილს.

ნ. ბაბუნას ბენეფიკსა მხარულად ჩაიარა. ბ. შავარდის პიესა, რომელზედაც ეცდებით მოკლეს ხანში მოვილაპარაკოთ, თუმცა დიდი ხნის ნახული და გავანლია, მცირე აზროვნის და, თუ ესე შეიძლება ითქვას, დადვილ თემაზედაც აგებული, მაგრამ იმიგადა-მიგ შეგხვდებოთ ბევრი ოხუნივი გამოთქმები, განსაკუთრებით პირველ ორს მოქმედებაში, ქარაქტერული სიტყვები, თუმცა ხანდისხანაქაც გადაჭარბება ეტყობა, და თქვენს სიცილს საზღვარი არა აქვს. მოზენეფისე დასაჩუქრეს რამდენიმე საჩუქრებით.

„დროების“ კორრესპონდენციები
ს. მაღლაძე (ქუთ. მ.ზ.) 28 ნოემბერს.
ხომ იცნობთ ამ სოფელს? ეს ის არის, რომელშიაც ამ დღეებში შესანიშნავი ავაზაკები მიიმწყვდის, ერთი მოჰკლეს

იმისთანა საბუთები ჩამივარდა ხელში, რომ ვერსად ვერ წაუვა ვერც ერთი იმათგანი, რომელთაც ამის ქვემოდ ბრალდებულად და საზოგადო საქმეების მოლაპატედ, სწორედ მოლაპატედ მოვიხსენიებ.

მოგახსენებთ, რომ ქალაქის სხვადასხვა საქმეების გასარჩევად რჩევას აქვს თითქმის ყოველ კვირაში ერთს დღეს სხდომა. ისე არ ვადილის სხდომა, რომ ზედ არ დავესწო; ხმოსანი არ ვახლავარ, არ ვაეხლდამორჩევით ბედნიერს; მაგრამ, როგორც ერთს მოქალაქეთ განს, დიდი ინტერესი მაქვს ქალაქის საქმეების ასე თუ ისე მიმდინარეობაში. ღიად, ხშირად ვახლავარ ხოლმე რჩევის სხდომაზე, და ხშირად ზოგიერთს სხდომაზე მითვლიერებია „ახალგაზდა“ განათლებული ხმოსნები და ვერ მინახავს. ქველამ კი ვიცით, თუ სად ბრძანდებიან ისინი ამ დროს—ზოგი „კლუბშია“, როგორც ზევით მოვახსენეთ და „მწვანე მინდორზე“ ბანქოს „აქაზრაკებს“ (ერთს გვარს ბანქოს თამაშს თურმე „აქაზრაკ“ ეძახიან—რუსულად „ვინტს“), ზოგი ნათვლაში, ზოგი ქორწილში და ზოგი სახლში განცხრომას მიეცემა თავის

და მეორეც დასჭრეს და დაჭირეს. ამათ კი მოუღეს ბოლო, მაგრამ ჩვენ, მალაქელებს რა? ჩვენ-ჩვენი საკუთარი ავაზაკები გყავს და მართლმართი დაქერა მოვცემს შეღავათს. მაგრამ იმათ ხმასაც არაინა სცემს! მათ მათგანი უკვე გავარდა თულად, რადგან ერთობ ნათლად უჩანს უკვე მოკლულ და დაქერილ ავაზაკებთან ერთი უღლის წევა. მაგრამ გავარდნილ ავაზაკებზე ლაპარაკს თავს ვაწყებებ. რასაკვირველია, საშიშარი არიან ისინი, მაგრამ თითონაც დიდ შიშში და წვალებში არიან: უღროვოდ ფოთლის შრიალი, მოულოდნელად ფრინველის ფრთხალიც კი ათას უსიამოვნო ფიქრებს უღვიძებს მათ.

მე ვიტყვი ორიოდ სიტყვას იმ ავაზაკებზე, რომელთაც იფარავს საგულ-დაგულად აშენებული სახლი, მაგრად შემოზღუდული ეზო, დაცული ქოთაქებით; რომელთაც იფარავს თვით ის ხალხი, რომელსაც ისინი ცარცვადენენ, და თვით ის კანონები, რომელთაც ისინი ძირს უთხრიან.

ამისთანა ავაზაკები ყოველგან ხომ ბევრი არიან, მაგრამ ჩვენში განსაკუთრებით ისხამენ ფრთებს. მგზობლის გაჭირვებით უსინდისოდ სარგებლობა, სადგილ-მამული ბანკში ადგილების დაგირაება და იქიდან გამოტანილის ფულის, თუმცა თვეში ათ შაურად გასხსება, სოფლის მოხლეჩების მათრახად ხელში დაქერა და ამ მათრახით სოფლელებისეცემა, უმეცარ გლეხების მათს დამლუბველ ხელ-წერილებში ჩათრევა და მერმე მათი სულიდან ხორცადის გაკლა, უმართლო საჩივრების ატეხვა და მოსყიდული მოწმეებით სამართლიანობის პატივობა დასხვა-დასხვა—რომელი ერთის მაგალითი მოვიყვანო? რომელი ერთი გმირი, დაესაზო?

ცოლ-შვილში... ამათის წყალობით სხდომა და ქალაქის საქმეების გარჩევა ხანდისხან იმისთანა ხმოსნებს უფარდებოთ ხელში, რომელთაც, მართლაც რომ გარდა „ბაზრის“ საქმეებისა არა იციან-რა. მსენი, ამისთანა ხმოსნები არიან ხანდისხან იმისთანა საქმეების გარდამწყვეტნი, რომლებზედაც ქალაქის ბედ-იღბალია დამოკიდებული. მალე შექნება შემთხვევა, რომ ციფირებით დაგმტკიცოთ, თუ რომელი ახალგაზდა ხმოსანთგანი, წარსულ ორი წლის განმავლობაში, რამდენჯერ ბრძანდებოდა სხდომაზე. მაგრამ მაგიერათ შებრძნდით ჩვენი რჩევას სხდომაში იმ დროს, როდესაც იქ ბამგეობის წევრების და მოსამსახურეების ჯამაგირებზე არის ლაპარაკი! არც ერთი ახალ-გაზდა ხმოსანი ამისთანა სხდომას არ დააკლდება. ეს ერთის მხრით ეგების კარგია, რომ თავიანთ ამორჩეულ კაცებს, რომელთაც ჰხედდენ, რომ მართლაც შრომა ბევრი აქვთ და შრომის ჯილდო კი მცირედი, არ ახაგვრინებენ მეორე გვარს ხმოსნების დასს, ეგრედ წოდებულ „ბაზრის“ კაცებს. მაგრამ განა ქალაქის საქმე-

მართზე რომ ვილხაქვს, მერსე ხომ სამუდამოდ მომემდურა, რატომ მეც არ მომხსენიო, და თუ ყველაზე ვთქვი, სად დაეცია? მაგრამ მე ვსწერ ერთს წიგნს, სახელად „იოსებ წურბელაძე ახუ სურათები სოფლის ცხოვრებიდან“, რომელიც შეიცავს სამი ათასს ფურცელს. მითო ფურცელი იქნება „დროების“ ფურცლის ოდენი. მუ დაეკმაყოფილე ჩემი გმირების თავ-მოყვარება, იმ წიგნში დაეკმაყოფილებ. ახლა კი მათთვის არ მცალიან.

ჩვენში ავაზაკების გამრავლებას მე იმას ვაბრალებ, რომ, ერთი ტყეში გასხლობთ, ასე რომ, თუ ახლო მახლობლად გავარდა ვინმე ავაზაკად, მაშინვე ჩვენს სოფელს მოაშვერს, რადგან ამისთანა თავმსაფარს ძნელად სადმე იპოვნის ამ არე-მარხვედ. მეორეც, ჩვენი სოფლის უმეტესობა მთელი წლის განმავლობაში სამჯერ თუ შევა ეკვლესიაში, დიდი ბარაქა ლა იქნება და მაშინაც არ იწუნებენ თავს ქადაგებით აქაური ხელ-ჯოხიანები.

არ ვიცი ეკვლესია ვაქცევიო სოფელს (მე ვამბობ მაკხოვრის ეკვლესიაზე) და არ ვიცი სოფელი ემალება მას. პირველი მუთაისისკენ იწევა, სოფელი კი ხონისკენ მირბის. მუ ამ მიმართულებით განაგრძეს სირბილი, უსათუოდ ამერიკაში შეხვდებიან ერთმანერთს და ამით ბრმათათვისაც კი თვალ-საჩინოდ დამტკიცდება, რომ დედა-მიწა ბურთივით მრგვალია.

ხუმრობა გაშვებით იყოს და, ეს ეკვლესია, გარდა იმისა რომ საშუალო ადგილს არ არის, თვითონაც პატარა არის და არ ვარგა და ახლის აშენებას თხოულობს. მაგრამ ვინ უნდა ააშენოს. მუ ააშენებენ გლეხები, თავადები უარს არ ეტყვიან,

ბი მართა ამაში მდგომარეობს, რომ ვის რამდენი შრომის ფასი მიეცეს!

მსთქვათ, თუ გნებავსთ, რომ სხდომაზე უსიარულობისათვის მაინც-ღამაინც არ ეთქმისთსაყვედური, თუმცა კიდევ გეტყვიოთ, რომ ამ რჩევის სხდომებზე სწყდება ხოლმე ყოველ გვარ ქალაქის საქმეები, და იმისთანა საქმეებიც, რომ იმათი ხანდისხან ყოველ მხრით აწონ-დაწონვა, გაჩრქვა და საჩქაროდ გარდაწყვეტა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქალაქისთვის.—მაშასადამე რჩევის სხდომა დიდი მნიშვნელობა ჰქონია.

მა, ბატონო, თუ გინდათ, ნუ შეტყვით საყვედურს, რადგამ გგონიათ, რომ ისინი თუმც სხდომაზე არ დიან, მაგრამ მაგიერად შინ ან გარეთ ასრულებენ ქალაქის სხვა-და-სხვა მინდობილობას.

აბა, ახლა ამ მხრით შევხედოთ იმათ მოქმედებას და ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი მაგალითი მოვიყვანოთ ამის შესატყობლად.

ბევრი საქმეები ქალაქისა, როგორც ვიცი ნამდვილი წყაროებიდამ ამ ახალგაზდა ხმოსანებმა, ზოგი თავად იქნეს და ზოგი თავიანთ ამხანაგებმა



თუ არა და, თვითონ თავს არ შეიწყუბებენ მინცა-და-მინცა.

აგერ ამდენი ხანია ებრძვის ამ სიძნელეს მისი ყოვლად უსამღვდელოება იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიკი და ვერ დაუძლევიან. ღღესაც მობრძანდა აქ და, ათის მცნებებს აღსნის შემდეგ, ეკკლესიის აშენებაზედაც უქადაგა ხალხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლაც უნაყოფოდ დარჩა ყოვლად სამღვდელოს ქადაგება.

სანამდის უნდა დარჩეს სოფელი მალაკი უეკლესიოდ? სანამდის არ უნდა ეღიაროს ამ სოფელს საოფელიო სკოლა? სანამდის უნდა აძლიოს მალაკის გლეხობამ თავიანთ წურბელებს თუპანზედ თავში ათი შაუჩი სარგებლად და არ ეღიაროს სასოფლო ბანკს! მანამდის, სანამ გლეხები ყველა ერთ სულოდით და თანხმობით არ მოკიდებენ თავიანთ საქმეებს ხელს, სანამ ყველა ერთად არ შეეცდებიან თავიანთ სისხლის მწოველებს! მაგრამ როდის იქნება ეს? მეორედ მოსვლამდის მოვესწრებით?

მადლაკელი.

დ. შპირილა, 29 ნოემბრის. არსად და არას დროს არ ეცხრობიან ისე უღმერთოდ და დაუზოგველად მუშა ხალხს, როგორც ამ ჩვენს შოთიბულისის რკინის გზის ზოგიერთი მოსამსახურე პირები. ბევრჯერ წაგვიკითხავს მრავალ გვარი უწყისობა და ბოროტ-მოქმედება ამ გზაში მოსამსახურე პირებისაგან. მრავალჯერ შეტანილა საჩივრებიც სადაც ჯერ არს, მაგრამ... (ჩვენ და საუბედუროდ ისეთ დროში ვართ, რომ ეს სიტყვა „მაგნამ“ ყველგან და ყოველთვის გზაზე გვიხვედება და გზებს გვიღობავს

აკისრეს, მაგრამ ღმერთო გამაკეთე. ჯერ არც ერთი საქმე არ შეუსრულებიათ, აგერ მეოთხე წელიწადი გადის და... სხვათა შორის მოგიყვან ერთს საქმეს ერთად-ერთს საქმეს, რომელიც „არსებითს პურს“ შეადგენს მთელი ქალაქის შემოსავლისას.— მს არის—ქალაქის უძრავი მამულების ხელ-ახლად გარდაფასება დაფასებითი გარდასახადის გასაწერად.

ქალაქის გამგებამ ძველი დაფასება ქალაქის უძრავი მამულებისა, რომელიც მოქმედობს, მგონი, 1877 წლიდან, ხანგრძლივი პრაქტიკით ყოველის მხრით უფარვისად დაინახა და წარუდგინა ჩვენს, რომ მოეხდინა იმათი ხელ-ახლად საზოგადო დაფასება დაფასებითი გარდასახადის გასაწერად. მანონიერად იცნო ჩვენამ გამგებობის მოხსენება და 14-ს თებერვალს 1880 წ. აირჩია ხმონებელად მთელი დაფასებელი კამისია, თითოშა სამ-სამი კაცა. რომ დაფასება სინილისიანი, მიუდგომელი და სწრაფი ყოფილიყო ამორჩევიანი ისე მოახდინეს, რომ ყოველ კამისიაში ორი მინცა განათლებული ახალ-გაზდა ხმონები ურთეს.—ქალაქის გამგებმა, რომ

და ერთი დამტკიცებითი ვერა გვიტყვამს, რომ „მაგნამ“ არ მივაკეროთ ზედ.) მინ არის მათი მიმხედველი, ვინ არის ყურადღების მიმქცევი? საწყალს გლეხს დაუტოვებია სახლი კარი, წერილი ცოლ-შვილი და წასული სამუშევრად შორს სადაც გზაში იმ აზრით, რომ პატარა „გრომები“ იმოფოს და ცოტა მინცა გამოუძღოს მშვიერი კუჭი თავის ცოლ-შვილს. მიდის საწყალი ამ მიზნით და ხშირად ისეთს უფროსებს უფარდება ხელ-ქვეშ, რომელნიც არამც თუ რაიმე სიკეთეს დააყრის—თავის სახევედრო, ოფლით ნაშოვნ „გრომების“ მიღებაზედაც ბევრს აწვალდებენ და სტანჯვენ. მს გრძელი წინასიტყვაობა წარმომთქმევინა ერთმა დღენდელმა ამ ჩვენს რკინის გზაზე თითქმის ჩვეულებრივმა შემთხვევამ. აი, ბატონებო, საქმე რაში არის.

დ. შვირილის რკინის გზის სტანციაში მოეყარათ თავი რამოდენიმე მუშებს და ერთი უმველებელი ლაპარაკი და ყატყატი გაქონდათ. მრთქლის მატარებლის წასვლამდის არ მიუქცევიათ მათ სხვების ყურადღება და შემდეგ (გასაგებად მათი ყვირილის მიხეზვისა) ვკითხე ერთს მათგანს:— ძმობილო, რა ამბავია, ვგრე ძლიერ რას გაუჯავრებინართ, ვინ ხართ, ახლოზღები ხართ თუ შორეულები? ამ ჩემს კითხვაზე წარმოსდგა ერთი ახალგაზდა ბიჭი და მომიყვა დალაგებით ყველაფერს.

— ჩვენ, მენი კირიმე, შორეულები არ ვახლავართ—ქვემო იმერლები ვართ. აქ რკინის გზის ტელეგრაფის ბოძებს ვაობდით და მართულებს ვებამდით ბ. ახატელთან, რომელმაც სამტრედიით რიონის სტანციაშიდისინ, რაც გვერგებოდა ჩვენი ქარა დიდის ღიტიანით და ტანჯვით მოგვცა. მაგ-

მელსაც დღე მუდამ თითქმის შეურაცხყოფას აყენებდა ჩიევა, რომ ის ვერაფერ ვერა სანაღვრებას ვერ პოულობს—ქალაქის საქმეების გაუმჯობესობისათვისა, ამ მამულების ხელ-ახლა გარდაფასების საქმის ამ გვარ გზაზე დაყენებით განარებული იყო, რადგან იმედი ჰქონდა—ახალგაზღობისაგან შემდგარი კამისია, სასწრაფით და სინილისიანად წაიყვანდა საქმეს, მოახდენდა დაფასებას რიგინად და ამით შემპატვრდა ქალაქის შემოსავალს ერთი-ორად თუ არა, ერთ ნახევრად მინცა.—მაგრამ... რა-ღა მაგრამ? წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ 14-ს თებერვალს 1880 წ. აპორჩეულს კამისიებს, დღეს რომ 30-თი ნოემბერია 1882 წ., ჯერ თურმე ნახევრადაც არ შეუსრულებია ჩიევის მინდობილობა! და თუ როდისმე შესრულებას მოვესწართ, იმასაც ვცდები შეგატყობინო, თუ როგორ შეასრულეს მათ ეს წმიდა და არა დასაყვენებელი მინდობილობა.

როგორც მოგახსენეთ, კიდევ ბევრი ამ გვარი და სხვა გვარი მინდობილობაც იკისრეს ამათ, ქალაქის სასა-

რამ რიონიდან დაწყებული შვირილის სტანციაშიდისინ, რაც გვერგებოდა იმისი რაღაც ქალაღები დაგვიწერა და გვითხრა შვირილაში დისტანციის უფროსი მოგვცემსო. მს მოგვცა და თვითონ მას-დღეს აქვე ვერ ვხედავთ, სად გვემალება. ჩვენ, რადგანაც ყველა ვერ ვიხელოთ შვირილაში, ერთი ჩვენი ამხანაგი გამოგზავნეთ და გვეგონა ის მოგვითხროს ფულებს ჩვენ-თქო, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, უფროსს არ მიუტია და უთქვამს: ძობიტნარში დახვდითო ამა და ამ დღეს (დღე დაგვინიშნა) და იქ ჩამოგიტანთ ფულებს ყველასაო. დანიშნულ დროს შევიკრიბენით ყველანი სტანციაზე; უცადეთ დღეს, უცადეთ ჩველ, უცადეთ ზებ და მაზეგ მაგრამ ჩვენი შემხედვარე ღვთის მეტი კაცი არ ყოფილა.

მსთქვითა სულ დაკარგვას წაეიდეთ ისევე შვირილაში, სადაც დაგვიბარეს თქო; ავდექით და მოვედით დღეს აქ. ბამოგვცხადეთ ბ. დისტანციის უფროსს და მან ვიღაც მებანიკი არისო ის გამოივლის ამალამის პოეზდითო და ის მოგვცემთ ფულებსაო. ამის ნახევარსაც ველირსეთ, მაგრამ ისე თქვენს მტერს ჩვენ იმან ცხვირი აგვიბზუა. სიტყვაც არ გვითხრა, ხაბრძანდა მატარებელში და წაბრძანდა თავისთვის. ჩვენ კი დაგვტოვეს ასე მშვიერ მწყურვალნი ჩვენ სოფელს მოშორებულნი. მრთი სიტყვით ისე დაგვიბნიეს გზა და კვალი, რომ არც კი ვიცით ახლა ვის რა უნდა ვსთხოვოთ. ამ იქით-აქეთ მისვლა-მოსვლაში ეს ჩვენი ქირა კი მოგვინდება და მერმედ რაღა უნდა წაუღოთ საწყალს და გაჭირებულს ჩვენს ამდენი ხნის დატოვებულს ცოლ-შვილს, რომელნიც ალტაცებით გველოდებიან, ეგებ ამ საშობაოდ ერთი ახალი ჩითის კაბას

მსახუროდ, რომელზედაც შემდეგ ვილაპარაკებ, მაგრამ, აბა, თუ კაცნი არიან და უღვაში ასხამთ, ერთზე მიგვითითებენ ხელს და პირნათლად იტყვიან—შევასრულეთო! მერა, ღმერთმანი, მკითხველო, ვერ იტყვიან! და თუ თქვენს სწორედ სინილისზედაც ხელ-აღებულებს დაფუძნებთ!

ამ ხანად ეს იკმარეთ, მკითხველო, ჩვენი ყოველის მხრით დაჩაგრულის და გალატაკებული მუთისის ჩიევის ასავალ-დასავალზე და იმის „ერთს გვარს“ ხმონებზე.—მესამე წერილში მე გაგაცნობთ იმის „მეორე გვარს“ ხმონებთან და შემდეგ ქალაქის გამგებობასთანაც. — მსლოვე ვგრძნობ, რომ—ოდესაც შეძლებისა და გვარად დაახლოვებით გაგაცნობთ ჩვენ ქალაქის მთელს თვით-სამმართველოსთან, იტყვიან—ეს ოთხი წელიწადია როგორც არის ცოდვა მადლით ზოგი გაუჩინა ჩიევისათო და ზოგი აწიცი უნდა გაჩინა ჩიევის, და შემდეგ კი რიგიც და სამართალიც მოითხოვს, რომ იმათ გამოეთხოვონ ქალაქის საქმეების ასე წაღმართად მმართველს და დაუთმონ თავიანთი ადგილები სხვა ახალ ძალებს—იმათ, რომელთაც მართლა და

მინც ვლირსონ. მს გახლოვდით ტონო, ჩვენი საქმე.

ბათავა ეს სიტყვები და მეც მოეშორდი; სრულდებოდაც არ გამკვირებია, რადგანაც ამ ნაირი მუშების წვლება „ხილად“ არ ვახლავსთ ამ რკინის გზის ამხანაგობაში.

დასამტკიცებლად ჩემის სიტყვებისა მომიყავს იმ მუშების რამოდენიმე გვარი და სახელი: ივანე ბეჭია, მერაბა მაშაკიძე, შირანა მაშაკიძე, ნესტორ, სპირიდონ და ილარიონ ძობროიძეები, სამსონ და ბასილ ჯვარშიევილები და სხვანი. შეველა ესენი ძვემო იმერეთის სხვა-და-სხვა სოფლებიდან არიან. რადემდისინ უნდა იტანჯებოდნენ საწყალი გლეხობა და საზოგადოდ მუშები ამ ნაირ უფროსების ხელში?! როდის იქნება ის ნეტარი დრო, რომ ამ ნაირ უსვინილისოდ და უღმერთოდ მომქცევე სამსახურის პირებს მოესპოთ არსებობა ამ ჩვენს შოთი-ბულისის რკინის გზის ამხანაგობაში?!

თ. კვალითელი.

ტფილისის სამაშრალო.

ავადმყოფები მიიღებიან დიდის წვა საათიდან თორმეტ საათამდის.

მ. შ. შ. შ. შ. განაჯუიჩი და ლისიცი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სიწურგული ავადმყოფობისა; ბასუტკოვი—ბუბიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბასუკოვი—ბუბიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა;

არა მართა ვარგებობით და ენის ტარტარით შესტკივთ ქალაქის მდგომარეობისათვის გული.

შეთანხმებით, მკითხველო, რომ ეგების მართლა დიდს დანაშაულობას შეადგენდეს ჩემთვის, რომ ჩვენი ჩიევის ახალგაზღობის მოქმედობაზე ასე აშკარად და გულლიად ელაპარაკობ და მემრე ბეჭდით,—რომ ამ გვარი აშკარა ლაპარაკია, ჩვენ მტერებს—და განსაკუთრებით, ჩვენში შემოღებული თვით-მმართველობის მტერებს უფრო გაახარებს, ვინემ ჩვენ გვარგებს რასმე და სხვ.—ეგების ეს ასეა, მაგრამ ჩემის აზრით, ჩემი უფრო დანაშაულობა იქნებოდა, რომ, ერთხელ არის მინცა, არ გამომაშკარებია ეს ამ გვარი მოვლენა:—დღე! მე მამებლრად მიწოდონ, მაგრამ მაგიერად, ფუი! იმ ახალგაზდას, რომელსაც საზოგადოების სამსახურისათვის თავისი მოვალეობა ისე ესმის, როგორც ჩვენი ჩიევის ახალგაზღობა!....

ქუთაისელი.

